№ 51 მარტი 8, კვირა 1892 მარტი 8, კვირა № 51


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## გაზეთი „ივერია“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


ქართული თეატრი

კვირას, 8 მარტს,

ქართულ დრამატიულ არტისტების ამხანაგობისაგან

მ. მ. საფაროვის თაოსნობით

წარმოდგენილი იქნება მეორედ ახალი პიესა:

**დ ა მ მ ა**

ორიგინ. დრამა წარსულ ცხოვრებიდგან 5 მოქ., თხზ. კ. გუნიასი. თავ. ოტია ჯოლიას როლს შეასრულებს კ. ყიფიანი, თავ. გაიოზ ფალავასას ვლ. ალექსი-მესხიშვილი და მარინეს როლს კნ. ავალიშვილისა.

მეხუთე მოქმედების პირველ სურათში ქართული ხორო ბ-ნ რატილისა იტყვის რამდენსამე ხალხურს სიმღერას და ბოლოს იგალობებს ლოცვას.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია შეგირდებისათვის კუპონები ლოჟაში ჰღირს 50 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

(2—0—2)


---

ტფილისი, 7 მარტი.

სამეურნეო მრეწველობაში ადვილი არ არის რიგიანად საქმის წაყვანა, რადგანაც გამარჯვება მარტო კაცის თვით-მოქმედებასა, მხნეობა-გამჭრიახობასა და ცოდნა-განათლებაზედ-კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედაც, ხელს უწყობს თუ არა ამ გამარჯვებას საზოგადო გარემოება, რომელიც საპოლიტიკო და საეკონომიო წესწყობილებაზეა დამყარებული. ჯერ, ვიდრე კაცი მეურნეობას შეუდგებოდეს, უნდა გავარჯიშდეს ბუნების მეტყველების ცოდნაში, რადგანაც ამ გვარ მეცნიერებაზე არის დაფუძნებული ეგრედ წოდებული „აგრონომია“, ანუ სამეურნეო მეცნიერება. შემდეგ, სამეურნეო მეცნიერება უნდა შეისწავლოს დაბეჯითებით, არა მარტო თეორიით, არამედ პრაქტიკითაც, ესე იგი, მეურნემ უნდა ზედ-მიწევნით იცოდეს ის გზა და კვალი, რომლის წყალობითაც ადგილობრივ მიწაწყალს შეუძლიან შეითვისოს მეცნიერების დარიგება და მით მისცეს უეჭველი ნივთიერი საბუთი მეცნიერების დიდ-მნიშვნელოვანობისა და სარგებლობისა.

მაგრამ ვერა მეურნე ვერ გამოიყენებს რიგიანად თავისს ცოდნა-განათლებას, თუ საერო კანონები სასოფლო სამეურნეო მოღვაწეობის შესახებ ვერ არის რიგიანად შემუშავებული, ხოლო რაც რიგიანად შემუშავებულია, ისიც ვერ მოჰყავთ აღსრულებაში. მაგალითად, ახლა ჩვენში ეგრედ წოდებულს დროებით ვალდებულ გლეხებს ტფილისის გუბერნიაში ჯერ თითქმის არცკი დაუწყიათ თავიანთ ნადელების შესყიდვა სხვა-და-სხვა კანონიერისა და უკანონო მიზეზისა გამო და, თუმცა ბატონ-ყმობა, დიდი ხანია, რაც გადავარდა, მაგრამ დღესაც-კი სხვის მიწაში „ოფლს აწვიმებენ“. უფრო უარეს დღეში არიან უმიწანადელოდ დარჩენილი გლეხები. აბა ამათ რა გული უნდა ჰქონდეთ თავიანთ მეურნეობაზე? რა გულდადებით უნდა იმუშაოს გლეხმა კაცმა, როდესაც ჯერ დარწმუნებული არ არის, ხვალ, ან ხვალ ზევით რა მოელის!

თითქმის ამისთანავე მდგომარეობაში არიან ჩვენი თავად-აზნაურნი მამულის გაუმიჯვნელობის გამო და სხვ.

ამასთანავე სოფლის მწარმოებელს ხელს უნდა უწყობდეს, ცოტად თუ ბევრად, კარგი გზები, გადატან-გადმოტანის ფასის სიიაფე, ბაზრის შესაფერი ვითარება და რიგიანი მუშტარი ნაწარმოების გასასაღებლად საქვეყნო ბაზარში.

აი რა რთული ღ ღრმა დამოკიდებულება სუფევს ქვეყნის მეურნეობასა ღ სახელმწიფოს ყოველ გვარ დაწესებულებათა შორის. სწორედ ამ მიზეზების გამო ბევრჯელ კარგად ნასწავლსა და გამოცდილს კაცსაც-კი გაუჭირდება ხოლმე თავის მეურნეობის რიგიანად წარმოება. და არამც თუ კერძო კაცს, ხშირად თვით ძლიერსა და ღონიერს სახელმწიფოსაც უჭირდება მეურნეობის რიგიანად წარმართვა, თვით იმ სახელმწიფოსაც-კი, რომლის ცხოვრების უმთავრესი წყარო მეურნეობაა. რუსეთში დიდის შიმშილობის ჩამოვარდნის ერთი უმთავრესი მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ მეურნეობის რთულისა და მრავალ გვარის გაჭირების გამოკვლევა და გაგება ძალიან ძნელია. ძნელია მით უფრო, რომ თვით ხალხს არა აქვს ღონე გაითვალისწინოს თავისი მდგომარეობა და თავის გაჭირების გამოხმა მიაწვდინოს იქ, სადაც საჭიროა.

დიდი ხანია, რაც მეურნეობის საერთო საჭიროების გამოსაკვლევად, შესასწავლად, საქვეყნოდ გამოსაცხადებლად და მთავრობის საუწყებლად მიღებულია სამეურნეო საზოგადოებათა დაარსება. სამეურნეო საზოგადოებათა სული და გული თვით მეურნენი არიან ხოლმე, ის მეურნენი, რომელნიც მეურნეობას მისდევენ და ამის გამო ზედმიწევნით იციან თავიანთი ყოველ გვარი გაჭირვება. მეურნეთა კრება ყოველთვის მეურნეობის საჭიროების შესახებ ჰბჭობს და ყოველის გზით სცდილობს, რაიმე წამალი მოუძებნოს თავისს გაჭირებას, მიჰმართოს სწავლა-განათლების წარმომადგენელთ, მიიზიდოს ყურადღება ქვეყნისა და მთავრობისა და ყოველივე ესე გამოიყენოს თავის საქმის წარმატებისათვის. როგორც უცხო ქვეყნებში, ისე ჩვენშიაც, სხვათა მიბაძვით, აგერ თითქმის ამ 50 წლის წინად, ტფილისში დაარსებულ იქმნა სამეურნეო საზოგადოება. რასაკვირველია, ეს საზოგადოება თვით მეურნეთაგან-კი არ შესდგა, როგორც სხვა ქვეყნებში, არამედ ხორც მეტსავით მოება ჩვენს დაქვევითებულს მეურნეობას. ეს საზოგადოება ისე დაარსდა და გაშალა ჩვენის მეურნეობის დროშა და ისე ატარებს ამ დროშას მთელის ნახევარ საუკუნის განმავლობაში, რომ ჯერ მეურნეებს არც-კი გაუგიათ რიგიანად, არსებობს თუ არა ამისთანა მათთვის გულ-შემატკივართა კრება ქვეყანაზედ.

ეს გასაკვირველი ამბავი მაგდენად გასაკვირველი არ იქნება, თუ ცოტად მაინც დავუკვირდებით საგანს. ჩვენი კავკასიის სამეურნეო საზოგადოება დაარსებულ იქმნა ადგილობრივ მეურნეობის ასაღორძინებლად მთავრობის წარმომადგენელთა მიერ. სამეურნეო საზოგადოების დაარსების შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდა პირველად არა მეურნეთა, არამედ მოხელეთა

---

## ფელეტონი

### გაბრიელის დღიური

დასწყევლა ღმერთმა, რას ჩამაცივდა ეს სიკვდილ-სიცოცხლის ფიქრი! არ მინდა ყურადღება მივაქციო, რადგან ფიქრით არაფერი გამოვა. მაინც თავს როდი მანებებს, იჩერჩეტებს და ისევ ჩემთან მოჩერჩეტდება.

დღეს ეს ფიქრი სრულიად სხვანაირად გადავწყვიტე, გულიც დამისვენდა და, წარმოიდგინეთ, მუზაც მესტუმრა. მადლობა ღმერთს, ვინ გაბრიელი, ვინ მუზა?

საფიქრებელად გამიხდა
ერთი რამ ამიცანაო:
კაცი და ბუნების წესი,
სიცოცხლე ამისთანაო.
დღესა ხარ სიცოცხლით სავსე,
მკვდარსა გნახავენ ხვალაო;
გვირგვინი შენის კაცობის
არ გამოგყვება თანაო.
სახელი რჩება კაცისა,
ავად ან კარგად სათქმელი,
და ზოგისა ხომ გაქრება,
ვით ქარიშხალში სანთელი...
ძნელია სიცოცხლის გაყრა,
საყვარელია ნათელი!
მიკვირს სიმოკლე სიცოცხლის,
მიკვირს ცხოვრების ტრიალი;
სიცოცხლეს მაინც ვერ სჯობნის
სიკვდილი შემაზრიალი.
სიცოცხლე სცოცხლობს უკვდავად,
სიკვდილის კბილის მჭრელი;
ერთი თუ კვდება, სხვა რჩება,
თან ჰყვება წერა-მწერელი.
საცა საქმეა საგლოვო,
იქ სხვაა შესამღერელი!

—

დღეს სწორედ ჩემის განკითხვის დღეა. სიჭაბუკიდგან თუ-კი რამ ფიქრი მქონია, ისეთი ფიქრი, რომელიც ღირსია ქაღალდზედ დაწერისა, დღეს მოუცლია და ანგარიშსა მთხოვს. ეს ფიქრები ერთმანეთში არეულან, ერთმანეთს ეკითხებიან და, მასთან ერთად, მეც, რასაკვირველია, უნდა ეს ფიქრები დავნიშნო, დავისწავლო.

რასა სტირის პირველი ფიქრი?

ჭაბუკობაში გიყვარდი,
დღეს შაგეჯავრე რადაო?
მე რომ მღალატობ, სხვისთვისა
რად გაგილვიძდა მადაო;
შენს გულში სახლ-კარი მრჩება,
ეხლა წავიდე სადაო?!.
ბევრი მაქვს შენთან, მწერალო,
საჩივარი და სადაო.
ბეჩავი აღარ გებრალვის,
დიდკაცებს ჰყუდებ ზურგსაო,
გირჩევ და რჩევას არ მისმენ,
მე აღარ მიგდებ ყურსაო...
ისინი არ გიდარდებენ,
რომ კითხულობენ პურსაო.
უფრო ყურს უგდებ და ჰკიცხავ
ორ-პირობას და შურსაო.
შარშან მდიდრებსა ჰლანძღავდი,
დღეს თითონ იძენ ფულსაო,
ჟანგ-მურის თავ-შესაფარად
იხდი სულსა და გულსაო.
ამით მკლავ, ამით მამჭლევებ,
წყლულზედ მიმატებ წყლულსაო.

მეორე რაღასა სტირის?

პირველო ფიქრო, რას ამბობ,
რა ჰქმნას მშიერმა კაცმაო?!
ფულიც კარგია, ღონეა,
ჩემის გამჩენის მადლმაო.
ვინც მშიერია, იშრომოს,
თითონ იმტვრიოს თავია,
თითონა სძებნოს სახსარი,
იცნოს კარგი და ავია,
იკვლიოს, გამოიძიოს
თეთრი რაა და შავია.
თითონ თუ არ ჰგრძნობს სიმშილსა,
სხვისი ვისი რა ბრალია?!
სხვისთვის შველამ და შეწევნამ
მრავალი ხალხი დალია;
დღესაც თან მისდევს საწყლებსა
სისხლით მორწყული კვალია.
ვის თავი არ ებრალება,
სხვისგან რა შესაბრალია?!

მესამე ფიქრი რაღასა სტირის?

მეორევ ფიქრო, ჩერჩეტო,
შეგრცხვეს რო ამბობ მაგასა;
მარტო თავისთვის ცხოვრება
ძაღლსაც-კი სცხვენის, კატასა...
ფიქრს საკეთილოს რად ჰშხამავ,
საქველოდ აღძრულს მადასა,
მარტოკა რად სჭამ, უსირცხოვ,
ნაზუქებსა და ქადასა...
ცოტა მშიერსც გადუგდე,
მადლი ჰქმენ, იყავ შნოზედა;
ნუ დაარიგებ მწერალსა
მარტო თვის შესარგოზედა,
თორემ დაჰკარგავს მწერლობას,
ბედაურს გასცვლი ხპოზედა.

მეოთხე რაღასა სტირის?

რას ჩააცივდით სიმშილსა,
მუცლის და კუჭის ჰყრიალსა?
ღორი მინახავს მაძღარი
ლაფში რომ შეიქმს ტრიალსა:
ხრუტუნებს, ოხრავს სიმსუქნით,
აღარ ეტევა ტყავშია.
ისიც ვიკითხოთ, რა უყრავ
ოხერს იმ ოხრულს თავშია.
უჭკო, უზნეო „მაძღარი“
მე არ მიჯდება ჭკვაშია...
მითხარ, ეს ჩემი ფიქრები
გასამტყუნარი რაშია?
ვგონებ მე ვერ შემედარო,
ძმაო, სიმართლის თქმაშია!

მეხუთე ფიქრი რაღასა სტირის?

ერთიც ცალ-გვერდულად ამბობთ,
მეორე უფრო კიდევა;
თქვენ თუ მოგყვებათ მწერალი,
უთუოდ გადაირევა.
კუჭსაც თუ საზრდო არა აქვს,
ჭკვას დააკლდება ძალაო;
კუჭი ჭკვას აძლევს ღონესა,
კუჭს—ჭკვა, თუ მოიცალაო;

შორის და, ამ გვარად, დაარსებითაც ამ მოხელეებმა დააარსეს ჩვენი სამეურნეო საზოგადოება. პირველნი წევრნი საზოგადოებისანი, მეურნეთა მაგიერ, მოხელენი იყვნენ. ამ სახით, ჩვენს მეურნეობას ახალნი გულ-შემატკივარნი გამოუჩნდნენ იქ, სადაც მეურნეობისა იქნება, ცოტა-მატა-კი ესმოდეთ, მაგრამ ისე შორსა სდგანან თვით მეურნეობასთან, რომ, არა გვგონია, ბევრი რამ გაეგებოდეთ. ვინც-კი პირველად დააარსა ეს საზოგადოება, იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენი მეურნენი ნელ-ნელა შეგროვდებიან ამ საზოგადოებაში და ჩამოართმევენ მოხელეთ კავკასიის მეურნეობის დროშას, შეუდგებიან თავიანთ მაქმეს და თითონვე წაიყვანენ რიგიანადაო, მაგრამ ამ გვარი წინასწარმეტყველება არ გამართლდა და ჯერ დღესაც საზოგადოების საქმე მეურნეების ხელში არ არის.

ეს ძლიერ სამწუხარო ამბავია, სწორედ რომ მოგახსენოთ: ვინც სოფლის მეურნეობას სათავეში არ უდგას და ყოველივე ავი და კარგი მემამულისა და მიწის მომქმედისა არ უნახავს, რაც უნდა გული სტკიოდეს ჩვენის სოფლის საჭიროებისათვის, მაინც ვერ იქნება რიგიანი დარაჯი და დამცველი მთავრობისა და საზოგადოების წინაშე ჩვენის მეურნეობის ინტერესებისა.

დიდად სამწუხარო ის არის, რომ ჭეშმარიტი გულის შემატკივარიც-კი მაგდენად არავინა სჩანს, ხოლო თვით მეურნენი თითქმის სრულიად არა ჰფიქრობენ, ჩასდგნენ ამ საზოგადოებაში და თითონვე გაუძღვნენ თავიანთ საკუთარს საქმეს.

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

*** 6 იანვარს მოხდარ უბედურების მსხვერპლი ერთი კიდევ იპოვნეს გუშინ მტკვარში, იმავე ადგილას, სადაც ხიდი ჩატყდა. საბრალოს თითები და კანი მთლად დამპალი ჰქონდა. მიცვალებული წყლიდგან ამოღების შემდეგ მიხეილის საქალაქო სამკურნალოში გაგზავნეს.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში ხუნაგი გაჩნდაო. ამის გამო ყმაწვილებიც ერთის კვირის განმავლობაში სწავლისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ, ხოლო შემდეგ ექიმებმა შეამოწმეს ბავშვები, დაადგინეს, ავადმყოფი აღარავინ არისო, და სწავლა კვლავ დაიწყო. მარტო ერთი ყმაწვილი, გვარად ასათიანი-კი, იმსხვერპლა ხსენებულმა სენმა.

*** ამას წინად ბელგიის „უსახელო საზოგადოებამ“ წარუდგინა ქალაქის გამგეობას პროექტი ცხენის რკინის გზის ლიანდაგისა, რომელმაც უნდა შეაერთოს დოლის მოედანი და ვოგზალი. გამგეობა არ ამტკიცებს ამ ლიანდაგს, რადგან მისი სურვილია გაყვანილ იქმნას ლიანდაგი, რომელმაც უნდა შეაერთოს დიდუბე ნავთლუღთან. რაკი ასეთს ლიანდაგს „უსახელო საზოგადოება“ არა ჰკისრულობს, ამიტომ, უეჭველია, სხვა კონცესსიონერს გარდასცემს გამგეობა ამ ფრიად საჭირო ლიანდაგის გაყვანის უფლებას. მეორე კონცესსიონერი, ბელგიის საზოგადოებას შემდეგ, ბ-ნი ყორღანოვია, ავჭალის ლიანდაგის პატრონი. უეჭველია, ამ ახალს ლიანდაგსაც ეს გამრჯე და მოხერხებული კაცი მოჰკიდებს ხელს და არც იმაზედ ნაკლებს ხეირსა ჰნახავს, ვიდრე აძლევს მას ავჭალის ლიანდაგი, რადგან ეს ახალი გზა შეაერთებს შუა-ქალაქთან ისეთს მჭიდროდ დასახლებულს ნაწილს, როგორიც არის ავლაბარი.

*** პირველი წარმოდგენა ქართულის სათეატრო დასისა დანიშნულია დღეს, 8 მარტს. წარმოადგენენ ბ-ნ ვალ. გუნიას ახალს პიესას, რომელიც პირველად ამ სეზონში წარმოადგინეს. მოთამაშენი ისევ ისინი იქნებიან, ვინც პირველად იყვნენ.

*** დღეს ვანქის ტაძრის საეკკლესიო შენობაში მოხდება კრება ტფილისის სომეხთა ეპარქიის დელეგატის ამოსარჩევად. ტფილისის სომეხთა 23 ეკკლესიის ამომრჩეველთა რიცხვი 69, მაზრების ამომრჩეველთა—30, სულ 99 ამომრჩეველია.

*** 5 მარტს, საღამოზედ, ქალაქის გამგეობის დარბაზში შეერთებული კრება ჰქონდა სასანიტრო და შენობათა კომისიებს. კრებამ გადასწყვიტა იქმაროს საყასბოს ასაშენებლად 180,000 მანეთი, ნაცვლად წინანდელის ხარჯთა აღრიცხვისა, რომლითაც უნდა დახარჯულიყო 230,000 მან. გარდა ამისა, დაადგინა გამოაცხადოს რუსეთისა და საზღვარ-გარეთის დიდრონ ქალაქების გაზეთებში, რომ ვინც უკეთესს პროექტს წარმოადგენს საყასბოსას, იმას ჯილდოთ მიეცემა ორმოც-და-ათ-თუმნიდგან ას ორმოც-და-ათ-თუმნამდე. პროექტი უნდა წარმოდგენილ იქმნას არა უგვიანეს ამ წლის 1 ოქტომბრისა. ამასთანავე კრებამ საჭიროდ სცნა, რომ ქალაქის ინჟენერი უეჭველად გაიგზავნოს საზღვარ-გარედ შესასწავლად და დასათვალიერებლად ევროპის უკეთეს საყასბოთა, რომ შეეძლოს ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენის საყასბოს ამშენებლებსაო.

*** ქალაქის გამგეობა ყოველ წლივ აძლევს ხოლმე მეტრიკის წიგნებს ებრაელთა რაბინს, რომელიც წლის ბოლოს ამ წიგნებს არდგენს გამგეობაში. წელსაც იქმნა ასეთი წიგნები წარმოდგენილი გამგეობაში და შეიცავს შემდეგს ცნობებს ტფილისში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ: წარსულის წლის განმავლობაში დაბადებულა 67 სული ებრაელი, მათში 37 მამათა და 30 დედათა სქესისა; გარდაცვლილა 43 სული, ამათში 32 მამათა და 11 დედათა სქესისა, ჯვარის-წერა ყოფილა 24, განქორწინება 5.

*** ამიერ-კავკასიაში ტფილისის გამიჯვნის საქმის საკრებულოს გადაწყვეტილებით უფროსი გამმიჯვნელი კონბერგი მაისის პირველიდგან შეუდგება გამიჯვნის საქმეს ტფილისის პირველს ოლქში:

1) სოფელ რუისში 1 მაისიდგან; 2) პატარა ლიახვის ხეობაზე 18 თიბათვიდგან; 3) დიდ ლიახვის ხეობაზე 20 თიბათვიდგან; 4) ზემო ქართლში: საფალავანდოში, სამაჩაბლოში და ხერხეულიძიანთ მამულში 1 ივლისიდგან.

ტფილისის მეორე ოლქში გამმიჯვნელი მოსევიჩი თიონეთის მაზრაში:

1) მატანო-მარელისის მამულში მუშაობა დაიწყება 1 მაისს; 2) სიღნაღის მაზრაში 11 მაისიდგან; 3) ქალაქ სიღნაღის მახლობლად მუშაობა დაიწყება 10 ენკენისთვიდგან.

*** პარასკევს, ამ თვის 6-ს სამუსიკო „კრუჟოკ“-ში გაიმართა სამუსიკო-სადრამო საღამო და კონცერტი ქართულის ხოროსი. პროგრამა „საღამოსი“ საკმაოდ ვრცელი იყო. მონაწილეობდნენ არტისტი-ქალი საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძე და კანდელაკი, რომელთაც წარმოადგინეს სცენა ვოდევილისა „გულმა იგრძნო“. ბ-მა რატილმა და ცხომელიძემ წარმოადგინეს სცენა კომიკურ ოპერის „სტრადელა“-სი. ქართულმა ხორომ 16-მდე სიმღერა სთქვა. მთელმა ამ „საღამომ“ მხიარულად ჩაიარა. ქართული ხოროც იმაზე უფრო უკეთესად და მწყობრად გალობდა, ვიდრე წინად გვინახავს. სცენა „სტრადელა“-სი ჩინებულად შეასრულეს ბ-ნმა რატილმა და ცხომელიძემ, ასე რომ, საზოგადოების თხოვნისამებრ, კიდეც გაიმეორეს. ეს სცენა წარმოადგინეს რუსულად. ხოლო ჩვენ შევიტყეთ, რომ იგივე სცენა ქართულადაც ყოფილა გადმოთარგმნილი და ამ მოკლე ხანში წარმოდგენილ იქნება კიდეც ბ-ნ რატილისა და ცხომელიძის მიერვე, რომელიც ქართულს საოპერო კონცერტის გამართვას აპირობს. სამწუხაროდ, ამ სასიამოვნო „საღამოს“ საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

*** დაბა ყვირილა: დღეს, ღამის თორმეტს საათზედ, დიდი უბედურება დატრიალდა აქ: ცეცხლი გაჩნდა და თერთმეტი დუქანი დაიწვა. დუქნის პატრონები დიდს მწუხარებაში არიან.

*** გაზეთ „არძაგანკის“ სიტყვით, დღეს სომეხთა დელეგატის არჩევანებზედ კანდიდატად იქნება დასახელებული „ნორ-დარის“ რედაქტორიც. ასე რომ ამ ჟამად სამი კანდიდატი-რედაქტორია: ,,მშაკისა‘‘, ,,არძაგანკისა‘‘ და ,,ნორ-დარისა‘‘.

*** რათა უზრუნველ ჰყოს ფლოტისა და ხმელეთის ჯარი ჯანმრთელის ჯარის-კაცებით, სამხედრო სამინისტროს განუზრახავს ცვლილება მოახდინოს ამ საგნის საადმინისტრაციო და საკანონმდებლო საქმეში. ეს ცვლილება ის იქნება, რომ უნდა განკარგდეს სამხედრო ბეგრის (ჯარის-კაცთა აკრების) წესი, ეხლანდელზე უფრო მომეტებულის ხნისანიც წაიყვანონ ჯარში, სხვა-და-სხვა შეღავათიც ოჯახის მდგომარეობის მიხედვით შეუმცირდეს ჯარში წასაყვანს ხალხს და ამასთანავე უფრო მეტად ჯან-საღნი წაიყვანონ, ვიდრე დღეს მიჰყავთ.

*** გაზეთს ,,Т. Л.‘‘-ს სწერენ თეირანიდგან: სპარსეთის მთავრობამ გამოუცხადა ევროპის კორესპონდენტებს, რომ ამიერიდგან თქვენი დეპეშები, სპარსეთის შინაგან საქმეებს შესახებ, ტელეგრაფის სადგურზედ არ იქნება მიღებულიო. ამბობენ, რომ ამ დღეებში ორს უცხოელ გაზეთების კორესპონდენტს სპარსეთიდგან განდევნიანო, რადგანაც თავის კორესპონდენციებით ბევრ-გვარი გაჭირვება დაატეხეს თავს სპარსეთის მთავრობისაო.

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ასხაბადიდგან ტფილისში ჩამოსულა ინტენდანტი დ. ს. ს. სტეფანოვი, რომელსაც უნდა ყოველ გვარი საშუალება გამოიკვლიოს, თუ როგორ გამოჰკვებოს იმიერ-კასპიის ჯარი, ვინიცობაა იქ სიმშილი ჩამოვარდეს, და რა ღონისძიება იხმაროს, რომ იმიერ კასპიის ადგილებში სპარსეთის ვაჭრებმა პური არ გააძვირონო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, უკანასკნელი ოცი ათას თუმნიანი მოგება რგებია მილიციის პრაპორშიკს, ბორჩალოს მაზრაში მთავრობის მიერ დანიშნულს მამასახლისს სეიდს. ეს ბილეთი სეიდს გორის მცხოვრებელ ტ—საგან უყიდნია.

---

თუ არ აღარდებს ნამეტნავ,
რა მიაწოდოს ხვალაო.
კუჭის და კუჭის სიმაძღრემ
ცხოვრება გააძალაო.
მეექვსე ფიქრი რაღასა სტირის?

აღარაფერს. აქამდის ისიც სხვებს ბანს აძლევდა, ეხლა-კი მოულოდნელად ფერი იცვალა. ის გაშავებული, გამხმარი, სულთამხუთავსავით ღრეჭით, ისეთის ღრეჭით, კაცს ეგონებოდა, დაცინვად გადაქცეულაო, დამდგომია თავზედ, სწორედ ალ-ქაჯად ქცეული, და სიცილ-ხარხარს მაყრის გუნდასავით თვალ-პირში.

სხვა ფიქრები რაღას აკეთებენ იმ დროს, როცა ეს ზემო აღნიშნულნი სხვა-და-სხვა მღელვარებასა და „ფიქრში“ არიან? სხვანი, როგორც ზღვის უფსკრულში ამის გვარი ცხოველები, აწყვიან ერთმანეთზე კოჭებივით, სხვა-და-სხვა გვარს ხმას გამოსცემენ იქიდამ: ზოგი კატასავით ჩხავის, ზოგი ღორივით ხრუტუნებს, ზოგი ბაყაყივით ყიყინებს, ზოგი გველივით წივის. ერთის სიტყვით, გაურჩეველს, გაურკვეველს ხმაურობაში არიან.

ნარ. ეკალა

## კოკლენები

(ადოლფ ბრისსონისა)

საშინელი უბედურება ეწია პარიჟს და ირგვლივ დრტვინვა-ჩივილი გაისმის...

მთავრობა შეკრთა, რესპუბლიკის პრეზიდენტს ფერი ეცვალა, ხელოვნებათა დირექტორმა სასოწარკვეთილებით პირი-სახეზედ ხელები მიიფარა და თვით ბ-ნმა ჟულ კლარესიც-კი თავისს აკადემიის სადირექტორო სავარძელზედ წაბარბაცდა!.. მერე იცით, რად მოხდა ყოველივე ეს? ბ-ნმა კოკლენმა უფროსმა თავი დაანება „Comédie Française“-ს თეატრს და განიბნია მტვერნი ფერხთა თვისთანი ამ შენობის დირეზედ. შესანიშნავი ამბავია! აშკარაა, რომ საზოგადოება აღელვებულია. ჯერ მარტო ის ვიფიქროთ, რომ ეხლა ჰაბუკს ბერრს უნდა დავუკრათ ტაში, როდესაც მასკარილის როლს ითამაშებს—მით უმეტეს, რომ საუცხოოდ თამაშობს—და ველარ გველირსება ნახვა სამის კოკლენისა, ერთად მშრომელთა მათის ხელოვნებით გაოცებულ საზოგადოების წინაშე!.. სამწუხაროა, სამწუხარო!.. მხოლოდ ის-ღა დაგვრჩენია ნუგეშად, რომ ყველა კოკლენი არ გაგვშორებია, უმცროსი ისევ ჩვენთან არის... ეს უმცროსიც ისევე ცნობილია და განთქმული, ისიც უყვარს საზოგადოებას, ისიც მცირე საზრდოს არ აძლევს საოხუჯო ჟურნალებს, იმისის სურათებითაც სავსეა მაღაზიის ფანჯრები და იმასაც შეეძლო სამგზავროდ ამერიკაში წასვლა, მაგრამ „Comédie Française“-ს ლალოტი არ მოინდომა.

მართალია, ხანდახან ესეც გაინავარდებს ხოლმე ბრიუსელსა და ლონდონშიაც-კი, უფრო ხშირად-კი ბორდოსა და მარსელში, მაგრამ ისიც მხოლოდ ერთის დღე-ღამით, სწორედ იმდენის ხნობით, რომ ორმოც-და-ათ თუმნიანი მოიგდოს ხელთ და ისევ თავისს თანამდებობას დაუბრუნდეს მოლიერის დასში; ეს განავარდება ხელს არ უშლის და თავისს სამსახურს ძალიან პირ-ნათლად და სინიდისიერად ასრულებს. კოკლენმა უფროსმა არ მოისურვა უმცროსის მაგალითისათვის მიებაძნა და, იმის მაგიერ, რომ გოტსა, ფებრსა, ვორმსა და მუნესავით ფეხ-მაგრად ყოფილიყო თავისს ადგილას, ძალ-ღონითა და ნიჭით სავსემ მოჰკურცხლა და გაიპარა.

ეს ამბავი სულ კოკლენის მშვენიერის ჯან-მრთელობის ბრალია. კოკლენი დაუღალავია. თუმცა წლოვანებით ორმოც-და-ათს წელს გადაცილებულია, მაინც მხიარულია და ჯან-საღი, თითქოს ახლად ულვაშ-აშლილი ჯარის-კაცი იყოსო. ის სხვისათვის შეუძლებელს ადვილად შეიძლებს ხოლმე. დღეს რომ პარიჟში თამაშობს, ხვალ ბრიუსსელში ძნელს, დიდხანს არ ნათამაშებს ლაბიუსიერის როლს ასრულებს „ტერმიდორში“. ღამეს ვაგონში ათევს და იმავე საღამოს სცენაზედ გამოდის მარდად, ჯან-საღად, და ეშხიანის, საუცხოო ხმით თავისს როლსა კითხულობს.

მისი ასეთი მოღვაწეობა ყოველთვის აკვირვებდა მის გამო სასოწარკვეთილებაში მოსულს თეატრის დირექტორს ემილ პერენს. თითქმის დღე ყოველ ამბავს მოუტანდნენ ხოლმე, რომ კოკლენი ამა-და-ამ ქალაქში წავიდაო.

— რა ვუყო, რა ვქნაო? უპასუხებდა პერენი: კოკლენი ყოველთვის თავისს დროს მოდის და თეატრს არ აკლდება. პოლიციით ხომ არ დავუწყებ უკან დევნასაო?

ერთს მშვენიერს კვირა დღეს ემილ პერენს უნდოდა ხრიკი ეგდო კოკლენისათვის და მისი აქეთ-იქით განავარდება დაებრკოლებინა. დაიბარა, რომ ამ დილის წარმოდგენაში მონაწილეობა უნდა მიიღო, რადგან გოტი ავად არის და ტრისოტენის როლს „Femmes Savantes“-ში თქვენს მეტი ვერავინ აღასრულებსო. წარმოიდგინეთ, კოკლენს-კი იმავე დღეს საღამოს რუანში წარმოდგენა ჰქონდა დანიშნული, გრინგუარის როლი უნდა ეთამაშნა. უეჭველად უნდა წასულიყო ნაშუადღევის ოთხ საათის საგანგებო მატარებლით. ემილ პერენმა ეს იცოდა და იმედიცა ჰქონდა, რომ მატარებელზედ მოუგვიანდებაო, მაგრამ შესცდა. კოკლენმა აქაც იპოვნა თავ-დასაძვრენი: თავისი როლი ელვასავით ჩაატა-

** „Вѣстникъ Виноделія“-ს მესამე ნომერში დაბეჭდილია, სხვათა შორის, შემდეგი საყურადღებო წერილები: გაჩენა გადამყნობის შემწეობით ვაზის ისეთის ჯიშისა, რომელსაც ფილოქსერა ვერას ავნებს და ყურძენს-კი კარგს ისხავს, პროფ. მილიარდესი; გამოყენება თხლესი, ნაცარი და მისი წამლობა და ყურძნის მოსავალი ამიერ-კავკასიაში.

** ტფილისში ხუნაგი თანდათან ვრცელდება. ქალაქის შუაგულში რამდენიმე ყმაწვილი მომკვდარა. საჭიროა, რომ ჩვენმა სამკურნალო მმართველობამ შესაფერი ღონისძიება იხმაროს ამავადმყოფობის წინააღმდეგ. როგორც გაზეთს „Нов. Обоз“-ს შეუტყვია, ჭავჭავაძის ქუჩის მცხოვრებს თავ. ბ—ს, რომელსაც ყმაწვილი მოუკვდა ხუნაგისაგან, სახლის ყველა ავეჯი გაუყიდნია და თავის სადგურიდგან გადასულა. აუცილებლად საჭიროა, რომ, ვისიც ჯერ არს, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და სასტიკად აღკრძალოს, რომ ხუნაგიან ავადმყოფის სახლიდგან ავეჯი არ იყოს გაყიდული.

** ამას წინად ჩვენს გაზეთში „Нов. Обоз“-იდგან გვქონდა გადმობეჭდილი, რომ ქუთაისის ქალაქის მოურავის კანდიდატად ქუთაისის პოლიცმეისტერს თავ. ზ. ჭავჭავაძეს ასახელებენო. თავ. ჭავჭავაძე სწერს ეხლა, რომ არც მე და არც არავის სხვას ჩემი კანდიდატობა ფიქრადაც არ მოსვლიაო.

** 6 მარტს ეკატერინესლავის მცხოვრებელმა გეროფეი კავტუნენკომ, რომელიც მიხეილის ქუჩაზე სცხოვრებს, პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემის სადგურიდამ მეორე შინაგან სესხის 5% № 8, სერ. 02195 ბილეთი მომპარესო. ეჭვი პატრონმა უნტერ-აფიცერის ქალს 12 წლის მარიამ მაცკუსზედ გამოაცხადა. მაცკუსმა აღიარა, რომ ბილეთი ჩემს ნათესავს ლუჩკოვსკის გავუგზავნე ასხაბადშიო.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს ნომერში ახალ ამბავთა შორის შეცდომით მოხსენებული გვქონდა, ვითომ წერეთლის მიერ დაჭრილი ყოფილიყოს გოგორიშვილი და რჩებოდეს. გოგორიშვილის მაგიერ უნდა იყოს ინანეიშვილი.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძათ წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენი: ნუხის მაზრის უფროსს, ნადვორნი სოვეტნიკს დიმიტრი ასანიძეს, ყაზახის მაზრის უფროსის კოლეჟსკი ასესორს იოსებ ყანჩელს, ქუთაისის ქალაქის საბჭოს მდივანს ნიკიფორე კანდელაკს, ტფილისის სახაზინო პალატის ბუღალტერს ალექსანდრე ჩივაძეს, ტფილისის სახელმწიფო ხაზინის ბუღალტერს მიხეილ კანდელაკს და ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრს დავით გრიგოლიას.

ტფილისის ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელს ალექსანდრე ზუმბულიძესა და სოფ. ნიგოითის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს ე. კალანდარაშვილს ებოძათ ორდენი წმ. ანნასი მესამე ხარისხისა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გორი.** „ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ წარსულ თებერვლის 13-ს გორში ორი ავაზაკი ჩამოარჩეს. ამ ამბავს მთელი გორი დაესწრო. მაყურებელთა შორის, სამწუხაროდ, ბლომად იყვნენ შვიდი-რვა წლის ბავშვებიც. დღეს აი ამ ბავშვებს შორის გავრცელებულია ახალი თამაშობა, რომელსაც სახელად „ყაჩაღობას“ ეძახიან. ეს თამაშობა ის არის, რომ მოიყრის ერთად თავს რამდენიმე შვიდი-რვა წლის ბავშვი, აირჩევენ თავის შორის ყაჩაღებს, დაარქმევენ მათ დამრჩვალ ავაზაკების სახელებს და გაისტუმრებენ ქუჩის უფრო მივარდნილს ადგილებში... აქედგან პატარა ავაზაკები თავიანთ ტოლ გამვლელ-გამომვლელ გოგო-ბიჭებს ეცემიან, სძარცვამენ, ხოცვენ ცემით და შემდეგ იმალებიან... გარდა ავაზაკებისა, პატარა ბავშვები ირჩევენ პოლიციელებსაც. ეს უკანასკნელნი დაეძებენ ყაჩაღებს და ბოლოს იპოვნიან კიდეც... ავაზაკებსა და პოლიციას შუა გაჩნდება ჩხუბი, რომელიც თავდება პირველების შეპყრობით. ბავშვებს მოსამართლენიცა ჰყავთ არჩეულნი ამათ წინაშე მოჰყავთ ხელებგათოკილი ავაზაკები... აქ პროკურორისა და ვექილის მონაწილეობით ირჩევა ამათი მოქმედებანი... მოწმენი თავიანთის ჩვენებით ამტკიცებენ ამ მოქმედებათა სინამდვილეს და შემდეგ მოსამართლენი შეუდგებიან ბჭობას, რომელიც თავდება იმითი, რომ ავაზაკებს გადაუწყვეტენ ჩამოხრჩობას. ამას შემდეგ რომელსამე გამოშვერილ ხესთან მიჰყავთ ისინი და აქ იღლიებში ამოდებულის თოკით ჩამოაკონწიალებენ ჰაერში.

ეს თამაშობა კარგა ხანს შეუმჩნევლად რჩებოდა და ამ ბოლო დრომდის არავისი ყურადღება არ მიუქცევია. ამ ორის დღის წინად-კი უცებ მთელს გორში გაისმა საზარელი ხმა: ბავშვებს თამაშობის დროს ერთი თავიანთი ამხანაგი დაუხრჩვიათო... საუბედუროდ, ეს ხმა უსაფუძვლო არ გამოდგა. გორის ერთ ნაწილთაგანში, რომელსაც გარეთუბანს ეძახიან, ამ ორის დღის წინად ბავშვები თურმე ზემოდ აღწერილ ამბავსა თამაშობდნენ... პატარა ტატე ჯიოშვილს მოსამართლეთ გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა... საჩქაროზე გაჰმართეს სარჩობელა, მიიყვანეს ავაზაკი, რომელსაც, იღლიების ნაცვლად, გამოყურთმაჯებული შაქრის ბაწარი ამოსდეს ყელში თოკი. წაეჭირა თუ არა, ბაშვი გალურჯდა და ფეხების ქნევას მოჰყვა. ამხანაგებს დაენახათ ეს, ეგრძნოთ, რომ აქ რაღაც არა სახუმარო ამბავი ტრიალდებოდა, და თავს ზარ-დაცემულნი გადაფანტულიყვნენ აქეთ-იქით. ბედზედ სწორედ ამ დროს ვიღაც დედაკაცმა დაინახა თურმე ჩამოკიდებული ბავშვი, წიოკობით მივარდა, ჩამოხსნა, განათავისუფლა და ძლივ-ძლიობისას მოასულიერა კიდეც. ბავშვი დღესაც ლოგინში უწევთ, ისეა თურმე დასუსტებული.

ეს შემთხვევა მეტად დამაფიქრებელი და დამაღონებელია, მაგრამ ამავე დროს თავის შინაარსით ისეთი მარტივი, ისეთი ადვილად ასაწონ-გასაზომია, რომ მკითხველს მისის განმარტებით თავს არ შევაწყენ. მკითხველმა უწყის მიზეზი ამ საგულისხმიერო გარემოებისა და ამიტომ ამ ჩემს ნალაპარაკევში იმის გონებას ვერაფერი ვერ შეაშფოთებს, ვერ გააოცებს თავისის მოულოდნელობით.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მრავალჯელ ყოფილა ჩვენს გაზეთში ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში მეტად საჭიროა მამულების გამიჯნვის დაჩქარებაო. გაზეთ «Кавказъ»-ის გუშინ-წინდელ ნომრის მეთაური ამ საჭირ-ბოროტო საგნის თაობაზედვეა დაწერილი. გაზეთის აზრით, სოფლის მეურნე მხოლოდ მაშინ შეუდგება მამულის განკარგებას, როდესაც დარწმუნდება, ეს მამული ჩემია და სხვა ვერავინ წამომედავებაო. მანამდე-კი მხოლოდ იმას ეცდება, რაც შეიძლება მეტი ირგოს მამულიდგან და არ მოერიდება მიწის გამწირებასა და დაღლას, ხოლო ამ გზით კეთილდღეობა ქვეყნისა ძლიერ დაიქვეითებს. ამის გამოც ამიერ-კავკასიაში მემამულენი სულ იმასა სჩივიან, ვერა და ვერ გაგვიმიჯნეს მამულებიო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს საქმე მაინც ვერა და ვერ თავდება. გაზეთის აზრით, გამიჯნვის დაგვიანების მიზეზია: ა) ათასი დავა, რომელიც გამიჯნვის დროს ასტყდება ხოლმე; ბ) სასამართლოების მიერ დაგვიანება და გაჭიანურება სადავო საქმეებისა, და მესამეც ის გარემოება, რომ გამმიჯნველს საკრებულოს მოხელენი ცოტანი ჰყავს. ეს სამი მიზეზია თავი და თავი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის და აბრკოლებს მამულების გამიჯნვის საქმის დამთავრებას ამიერ-კავკასიაში. ვიდრე გამმიჯნველი უწყება ამ მიზეზებს არ მოისპობს, მანამდე შეუძლებელია, რომ გამიჯნვის საქმე იოტისოდენადაც არის წინ წაიწიოს.

შემდეგ გაზეთი ამ თავის მიერ ნათქვამს ასაბუთებს სხვა-და-სხვა მაგალითით, რომელიც მართლა დიდად საყურადღებოა. გაზეთის სიტყვით, ვიდრე დავა გადაწყდებოდეს და ასე თუ ისე გათავდებოდეს სასამართლოში, ზოგს კაცს შეუძლიან სხვის მამულით 10—20 წელიწადი ისარგებლოს და სარფიანადაც ისარგებლოს. აი მაგალითად:

არა კეთილ-სინიდისიერს მფლობელს შეუძლიან განაცხადოს გამმიჯნველ მოხელეს წინაშე დავა 100 დესეტინა მამულზე. რაკი დავა ასტუდება, გამიჯვნა მამულისა უნდა დრომდე გადაიდოს, ხოლო დავა ჯერ უნდა ოლქის სასამართლომ გაარჩიოს, შემდეგ სამოსამართლო პალატამ და ბოლოს კიდევ უმართებულესმა სენატმა. არა კეთილ-სინიდისიერ მფლობელისათვის, კითხვა არ უნდა, სარფაა, რაც შეიძლება გაჭიანურდეს და გასაგრძელდეს საქმე. მით უფრო მეტს ეცდება ესეთი მფლობელი საქმის გაჭიანურებას, თუ დარწმუნებულია, რომ ადრე თუ მალე მამული უნდა ჩამოართვან. ბოლოს თუნდაც წააგოს საქმე, ბევრს არას იზარალებს, რადგანაც 10—20 წლის მფლობელობა მაინც შერჩება.

ამისთანა მფლობელი არც იმას შეუშინდება, რომ ჯარიმა უნდა გადამხდესო, რადგანაც ჯარიმა 10 წლის უკანონოდ მფლობელობისათვის 200 მანათს არ აღემატება, ხოლო ამ ხნის მფლობელობაში თითონ ერთი ასად მეტს გაინაღდებს. ამ სახით, მამულის პატრონს სულ უბრალოდ ეკარგება დიდი შემოსავალი, სხვას უვარდება ის ხელში და, რაც უფრო უარესია, ამავე დროს განმავლობაში არა კეთილ-სინიდისიერი მფლობელი დაუნდობლად ეკიდება მამულს. ჰლეწს და ამწირებს. რადგან ასეთი სასარგებლოა ზოგისათვის დავის ატეხა, ამიტომ კიდეც მრავალი და ხშირია ეს ამბავი ამიერ-კავკასიაში.

ამავე საქმის გაჭიანურებას ხელს უწყობს, როგორც ზემოდაც ვსთქვით, ის გარემოებაც, რომ გამმიჯნველს საკრებულოს მოხელეები ცოტა ჰყავს და საქმეს ვერ ასდიან. ეს ყოველ მოდავე მამულის პატრონისათვის ძლიერ სამძიმო გარემოებაა, მაგრამ ყველაზე ძლიერ გლეხ-კაცებს უჭირთ საქმესა. მიართმევენ საწყლები თხოვნას, „პლანი“ მოგვეცითო, და 3—4 თვის განმავლობაში რამდენჯერმე ჩამოდიან შორიდგან ტფილისში, იხარჯებიან ტყუილ-უბრალოდ და ბევრჯელ ხელ-ცალიერი ბრუნდებიან შინა.

---

რა. ოთხს საათს ათი წუთი აკლდა, რომ ტანისამოს-გამოუცვლელი თეატრიდგან გამოვარდა, ეტლში ჩაჯდა, შიგვე გამოიცვალა ტანისამოსი და რკინის გზის სადგურზედ სწორედ მაშინ მივიდა, როდესაც ორთქლ-მავალი ჰქშინავდა და დაძვრას აპირებდა. იმისი ჩაჯდომა იყო და მატარებელიც დაიძრა.

მეორე დღეს გაზეთებში ჰნახა რუანის თეატრში გამართულ წარმოდგენის რეცენზია, მაგრამ ემილ პერენს მაინც არა სჯეროდა. მაინც-კი მართალი იყო და პერენი სწორედ აღტაცებით იხსენიებდა კოკლენს ამ სიმარდისათვის.

რაკი კოკლენის შესახებ ვწერ, ნება მომეცით ერთი რამაც განგიზიაროთ. ამას წინად ერთს 1875 წლის ჟურნალსა ვფურცლავდი და ალფონს დოდეს პაწია წერილი შემხვდა. ეს მოთხრობა იმ დროს შეეხება, როცა ძმანი კოკლენები პაწიები ყოფილან და მეხაბაზე მამის დუქანში უმუშავნიათ, ბულონში. ვბეჭდავ აქავე ამ თუმცა არა უცნობს, მაგრამ დიდის ხნის დავიწყებულს ფურცელს-კი:

### კოკლენების ყმაწვილობა

ორივე ძმას ისევე სხვა-და-სხვა გვარი ნიჭი აქვთ, როგორც გარეგნობა. უფროსს კოკლენს მოლიერის და რენიარის გმირები უყვარს, თავაშვებული ხუმრობა; იგი გრძელ-ცხვირიან, ტუჩ-დიდა და პირ-რგვალა გმირებს თამაშობს, გმირებს, რომელნიც თავს ყველაფრის ნებას აძლევენ და რომელთაც ყველა ეპატიებათ, რადგან ზღვა-ულეველს, უხინჯო და უყალბო სიცილს გამოიწვევენ ხოლმე. ამას ნიჭის სითამამე და საზოგადოების სიყვარულიც დაუმატეთ და ადვილად შეიძლებთ იმის გათვალისწინებას.

უმცროსი ძმა უფრო ინგლისურის ხასიათის ხუმარაა და ძალიან თავდაჭერილი ოხუჯობა აქვს; ცოტა უკეთესად რომ იცოდეს გიმნასტიკა, საუცხოო ტაკი-მასხარა გამოვიდოდა ცირკისა.

საკვირველი ის არის, რომ ორივე ძმას გაგიჟებით, თავ-გამოდებით უყვართ თავისი ხელობა—დრამატიული ხელოვნება. ორივენი პროვინციაში სცხოვრობდნენ თავის მამასთან. ერთბაშად ორივეს ერთად მოუარათ ჟინმა სცენაზედ თამაშობისამ. იქნება ეს სურვილი ფქვილის იმ მტვერმა გაუღვიძა, რომელიც იმათის მამის სახაბაზო დუქანში უხვად ტრიალებდა, ან თეთრმა, თავზედ წამოხურულმა ჩაჩმა?..

ასეა თუ ისე, ის-კი ნამდვილია, რომ როცა ცამეტის წლის კოკლენი, ხელ-ღონიერი უფროსი ძმა, პურებს აკრავდა, ტრაგედიებსა და კომედიებიდგან ლექსებსა და მთელს ტირადებს კითხულობდა ხოლმე. რაღა თქმა უნდა, რომ მამას არაფრად ეჭაშნიკებოდა ეს ტირადები.

— ვაჭრობა კარგად მიდის და შენ უნდა იყო ჩემი მოადგილეო, ახარბებდა შვილს, მაგრამ ჭეშმარიტს ნიჭს წინ ხომ ვერაფერი გადაეღობება!..

კოკლენი პარიჟში წავიდა, ათი თთვეს დაჰყო კონსერვატორიაში და ოცის წლისა უკვე თამაშობდა თეატრში. პირველად ფიგაროს როლში გამოვიდა და მაშინვე საუცხოო არტისტად აღიარეს. თუმცა შვილის დიდებით მამას თავი მოსწონდა, მაგრამ მაინც თავ-მოწონებას ამ სიტყვებსაც დასძენდა ხოლმე: „პურებსაც კარგს აცხობდაო. საბედნიეროდ, უმცროსი შვილი კიდევ ჩემთან არის... ის გამიწევს მოადგილეობასაო“.

არც უმცროსს ძმას ეპიტნავებოდა რაიმე ხაბაზობა.

თუმცა ორის ძმის წლოვანებას შორის განსხვავება დიდი იყო, უფროსი ძმა უმცროსს უზიარებდა თავისს იმედებსა და ოცნებას, ლექსებს უკითხავდა, ა'ე რომ უმცროსი ძმაც გატაცებული იყო და კვირა დღეობით, როდესაც პური დაჰქონდა, ძმისაგან განაგონს ლექსებს იმეორებდა, მერე ისეთის გატაცებითა და ხელების ქნევით, რომ თავზედ დადგმულს პურის ხონჩას ძლივს იმაგრებდა ხოლმე. შემდეგ, როდესაც წამოიზარდა და პურის ცხობა უნდა ჩაებარებინათ, გადაწყვეტით გამოაცხადა, მე არტისტობა მინდაო.

— ესეც იქით მირბის!.. ჩემთან არც ერთი არა რჩებაო! სასოწარკვეთილებით წამოიძახა მამამ: ისე დაგიჟებულან, თითქოს ჰირიანები იყვნენო... მერე საიდგან რა გადაედოთ ნეტა?..

ხოლო რადგან კოკლენების მამა კეთილის გულის კაცი იყო და დიდმაც თავი გაიტანა, ამიტომ უმცროსს შვილსაც უთხრა: „შენი ნებაა, შვილოო!“ ამ გვარად, უმცროსმაც კონსერვატორიაში ამოჰყო თავი. იმას ძმაზედ უფრო გაუძნელდა საქმე. იგი მძიმედ, ნელ-ნელა ჰმუშაობდა; ძმასავით ბრწყინვალე ნიჭი არა ჰქონდა და უფრო ძნელად ითვისებდა ყოველსავე. საზოგადოების აღტაცებას იგი უცბად ატეხილის სიცილით-კი არ იწვევდა, არამედ დაულალავის სახის მოძრაობით.

ალფონს დოდე.

როცა უფროსი ძმა კოკლენი თავისს წარსულს გაიხსენებს ხოლმე და ამასთან პაწია სახაბაზოსაც მოიგონებს, იმ სახაბაზოს, სადაც ჰმუშაობდა, რაღა თქმა უნდა, თავი მოსწონს და თავისის აწმყოთი ამაყობს.

ორ-ანი

## რუსეთი

თანდათან უფრო და უფრო სამწუხარო ამბები მოდის რუსეთის დამშეულ გუბერნიების შესახებ. სიმშილისა გამო ხალხში სახადი გავრცელდა და თურმე საქონელიც უსაჭმლობის გამო იხოცება. თან აი გაზაფხული თითქმის დადგა კიდეც და ახალ-თესლებისათვის ბევრგან თესლი ადგილობრივ არ არის მიტანილი, თუმცა ნაყიდი-კია. ერობანი თავ-გამოდებით იბრძვიან, მაგრამ სახადის წინააღმდეგ ჯერ ვერაფერი ვერ გაუწყვიათ. ეს სენი რუსეთის აღმოსავლეთს მხარეში დაიწყო, იქიდგან მოჰყვა და მრავალს გუბერნიას მოედო. ეხლა, როგორც „Русскія Вѣдомости“ იუწყება, სახადი მოდებულია დიდს ქალაქებში: ყაზანსა, სარატოვსა, პენზასა, ასტრახანსა, პერმსა, ტამბოვსა, ეკატერინბურგსა, ხარკოვსა და სხვა ქალაქებში. სახადი ჯერ სოფლებში გაჩნდა და იქიდგან ქალაქებს მოედო. ეჭვი არ არის, ეს სენი გაჩერებული არ არის და დღითი-დღე უფრო ვრცელდება, ხოლო სადაც ყველაზე ადრე გაჩნდა, იქაც-კი ჯერ-ჯერობით ვერ შეუსუსტებიათ ეს გამძვინვარებული სენი. ერობათ ჯერ ხალხის გამოკვებისა და სათესლეს შოვნის საქმე არა ჰქონდათ თავიდგან მოშორებული და ახლა ეს უბედურებაც თავს დაატყდათ. ამასთანავე, სამწუხაროდ, ერობათ არც შეძლება შესწევთ საქმის რიგიანად გასაძღოლად. ისე ნაკლებად მოეპოვებათ ერობათ ღონისძიება, რომ დროებითაც არ ძალ-უძთ მეტი ხარჯი გასწიონ გამძვინვარებულ სენთან საბრძოლველად.

ამ გაჭირვებასთან ერთად სხვაც ბევრი რამ საქმე აწევს ერობათ. ჯერ ერთი, როგორც ზემოდაცა ვსთქვით, სათესლე უნდა დაურიგონ გლეხებს, მაგრამ ეს სათესლე ბევრგან ან არ არის ადგილობრივ მიტანილი და ზოგან კიდევ ნასყიდიც არ არის. აბა რაქნას ერობამ ამ შემთხვევაში, რომ არც თითონა აქვს შეძლება და მთავრობისაგანაც ძნელად თუ მიიღებს რასმე ხელ-მეორედ დახმარებასა და სესხს.

მუშა საქონელიც ზოგი ხომ გაწყდა და წყდება კიდეც, მაგრამ რაც დარჩება გაზაფხულამდე, ისიც ისე სიქა-გამოლეული იქნება უსაჭმლობისა გამო, რომ მუშაობას ვერ შესძლებს რიგიანად. ამ გარემოებამ აიძულა მთავრობა, რომ საქონლის გამოსაკვებადაც დახმარება გაეწია ხალხისათვის. ორმა-სამმა გუბერნიამ უკვე მიიღო კიდეც მთავრობისაგან ცოტაოდენი შემწეობა. ეჭვი არ არის, სხვა გაჭირვებული გუბერნიებიც ამათის მიხედვით იძულებულნი შეიქმნებიან მთავრობასავე მიჰმართონ დახმარების სათხოვნელად, რადგან სხვაფრივ ხსნა არსაით არის. მაგრამ ვინ იცის ამ გზითაც ეშველებათ რამე, თუ არა?!.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ჰენრიხ ვოლმარს, ბავარიის პუბლიცისტს, შეუთვლია „Figaro“-სათვის:

„ჩემის აზრით, ელზას-ლორენის საქმე მხოლოდ საეროვნო ნიადაგზედ უნდა გადასწყდეს. სხვაფრივ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია. ჭეშმარიტი გადაწყვეტა საქმისა აი ეს უნდა იყოს: უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჭეშმარიტი დიდება და აზრი სახელმწიფოსი არის მოიგოს და მოინადიროს თავის ქვეშევრდომ ერთა გული და იმ ერთა საჭიროებანი უნდა დააკმაყოფილოს მთავრობამ. დადგება ნეტავ ის დღე, როცა ამას მიხვდებიან საფრანგეთიცა და გერმანიაც? თუ ეს დღე დადგა, მაშინ ძნელი აღარ იქნება მოისპოს ჩხუბი და დავა ელზას-ლორენის გამო. შესაძლოა მაშინ ასე გადაწყდეს საქმე: სოციალურად და პოლიტიკურად თავისუფალნი მკვიდრნი ორად განიყოფებიან და, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რომლის შთამომავლობისაა, ან გერმანიას და ან საფრანგეთს მიემხრობიან“.

ბრენტანოს, საპოლიტიკო ეკონომიის პროფესორს, ეს მიუწერია:

„ყოვლად შეუძლებელ საქმედ მიმაჩნია, დაუბრუნდეს საფრანგეთს ელზას-ლორენი და ან თავისუფლად დარჩეს, განმარტოებული. გერმანიის ერი არავითარს სამაგიეროს არ შეიწყნარებს და ელზას-ლორენს არც ფულში გასცვლის, არც მამულებში, საცა უნდა მისცენ ეს მამულები, ტონკინსა თუ მადაგასკარზედ.

„ამის მიზეზი ისტორიაში უნდა მოიძებნოს. ძალით წაგვერთვა ჩვენ მე-XIV საუკუნეში სტრასბურგი. ამ თავის დამცირებასა და სირცხვილს გერმანია არას დროს არ დაივიწყებს, მით უფრო, რომ ელზასი, რომელიც ფრანგებს ეკუთვნოდა, მუდამ გერმანიაში შემოსასვლელი კარი იყო ფრანგებისათვის.

„არ ვიტყვი იმას, რომ უმრავლესობა ელზას-ლორენისა ძალად გერმანელები არ იყვნენ და რომ იმათი უკეთესი გრძნობანი მსხვერპლად არ იწირებოდეს გერმანიის საპოლიტიკო ინტერესებისათვის, მაგრამ ასეთი ყოფა დიდხანს არ გასტანს: იმიტომ-კი არა, რომ ვითომ გერმანიის მთავრობას შეეძლოს აალორძინოს გერმანული გრძნობანი მეთაურ ელზასელებში; არამედ იმიტომ-რომ ერთი და იგივე კანონი გერმანიის აღმოსავლეთისაკენ მხარს აძლევს პოლშელებს გერმანელების წინააღმდეგ, ხოლო დასავლეთისაკენ, ელზას-ლორენში—გერმანელებს აძლევს მხარს ფრანგების საწინააღმდეგოდ. ეს კანონი ის კანონია, რომლის ძალითაც მკვიდრი მიისწრაფის იმ ქვეყნიდგან, სადაც ძნელია ლუკმა-პურის შოვნა, იმ ქვეყნებისაკენ, დაცა იმავე ლუკმა-პურის მოპოვება ბევრად ადვილია. აქ იგივე სიარული, იგივე მიმდინარეობაა ერისა აღმოსავლეთიდგან დასავლეთისაკენ. ამ შეურყეველის კანონის ძალით, ერთი თაობაც არ გაივლის, რომ ელზას-ლორენი კვლავ საგერმანიო ქვეყანა შეიქმნება. ომიც რომ ასტყდეს, თუნდა ჩვენ წავაგოთ ეს ომი და ელზას-ლორენი დაიბრუნოს საფრანგეთმა, მაინც მისი მკვიდრნი ფრანგები არ იქმნებიან“.

პროფესორ ოტტო ფონ მილდეჩს მიუწერია: „თუ საფრანგეთი საბუთს მოგვცემს და დაიწყებს თოფ-იარაღის ახსნას, მაშინ შეიძლება მხოლოდ ლაპარაკი ელზას-ლორენის დაბრუნების შესახებ, ამიტომ-რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი მშვიდობიანობა ევროპაში“.

განს ფონ ბიულოვს, მემუსიკეს და პიანისტს, ხუმრობა დაუწყვია და ასე შეუთვლია გაზეთისათვის:

„საფრანგეთის რესპუბლიკამ სთხოვოს რუსეთს, დაუთმოს გერმანიას ბალტიის ქვეყნები, თითონ საფრანგეთმაც მისცეს უკან იტალიას ნიცა და სავოია და მერე იქნება გერმანიამაც ხელი აიღოს ელზას-ლორენზედ“.

## დეპეშა

6 მარტი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტარის თანაშემწე ფონ-კაუფმანი დაინიშნა გამგედ მის უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიისა. დაწესდა აგრეთვე თანამდებობა მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის გამგეს თანაშემწესი და ამ ადგილზე დაინიშნა უფროსი მოხელე ხსენებულის კანცელარიისა ტანეევი.

უმაღლესად დასაჩუქრების მოხსენებათა განმხილველ კომიტეტის წევრებად დაინიშნენ: სენატორი გედეონოვი, სახელმწიფო საბჭოს წევრი როზენბახი, ორდენთა კაპიტულის საქმეთა გამგე პოპოვი და მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის გამგეს თანაშემწე ტანეევი.

**პარიჟი.** ამბობენ, ხვალ დილითაც კიდევ რამდენსამე კაცს დააპატიმრებენო. იმის წყალობით, რომ რამდენიმე კადნიერება ჩაიდინეს, პოლიციამ აღმოაჩინა ანარხისტთა პროექტი 18 მარტ დღესასწაულის გასახები.

**ლონდონი** წვრილ-წვრილად შესაყიდ ნახშირის ფასმა გუშინ 5 შილინგით დაიწია ტონზე. გუშინ 6,000 დურგამელმა მუშამ აურზაურიანი ყრილობა მოახდინა და გადასწყვიტა, კვლავ განვაგრძოთ ჩვენი პირობა და ნუ ვიმუშავებთო.

7 მარტი

**ლონდონი.** მთა-მადნის მუშათა ამხანაგობამ გადასწყვიტა, რომ ორშაბათიდგან მოკიდებული, როცა მუშაობა დაიწყება, მთა-მადნის მუშანი კვირაში მხოლოდ ხუთს დღეს ვიმუშავებთო; 11 აპრილიდგან ორშაბათობით მუშაობა აღარ იქნებაო.

**ბერლინი.** 18 მარტს წლის თავის შესრულების გამო, ათასობით ხალხი წავიდა სასაფლაოზედ ფრიდრიხსჰაინეში და სამარე დაფნის გვირგვინებით დაჰფარეს. პოლიცია დიდად ჰფრთხილობდა; გეგსტე-შტრასეს მახლობელს ქუჩებში შეტაკება მოხდა, რამდენიმე კაცი დაიჭრა და რამდენიმე კაციც დააპატიმრეს.

„Kreuz Zeitung“-ს გაუგონია, რომ საიმპერატორო კანცლერმა სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა შეიტანაო, მაგრამ ეს ამბავი ჯერ შემოწმებული არ არის.

პეტერბურგის ბირჟა, 6 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 92 | 7, 95 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $158^1/_2$ | $159^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1, 16 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $220^1/_2$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — ,, | $200^1/_4$ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 102 |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | $99^1/_2$ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | 102 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $99^1/_2$ |


დაიბეჭდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის და წერა-კითხვის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე „ამხანაგობის“ ყველა აგენტებთან ახალი ქართული წიგნი

ზადიგ

მოთხრობა

ვოლტერისა

ფრანგულით ნათარგმნი

თ. სახოკიას მიერ

ფასი ექვსი შაური

იქვე ისყიდება თ. სახოკიას მიერვე ნათარგმნი

„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“

ვ. ჰიუგოსი

ფასი ექვსი შაური

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

(10—0—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1892 ГОДЪ

ГОДЪ 2-Й — ГОДЪ 2-Й

НА ЛИТЕРАТУРНО-ИСТОРИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ.

12 книгъ въ годъ,—ежемѣсячно не менѣе 400 страницъ большаго формата.

„ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ издается въ 1892 году въ томъ же объемѣ и по той же программѣ, какъ издавался въ прошломъ году, а именно: 1) романы, повѣсти и всякаго рода произведенія художественной литературы; 2) историческіе разсказы, біографіи, мемуары и всякаго рода очерки по исторіи культуры; 3) путешествія, географическіе и нравоописательные очерки и 4) смѣсь, анекдоты, извѣстія, объявленія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПРЕЖНЯЯ:

съ доставкою и пересылкою: на годъ—4 руб., на 6 мѣсяцевъ—2 руб., безъ доставки и пересылки: на годъ—3 руб. 50 коп., на 6 мѣсяцевъ—1 руб. 75 коп. Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за поручительствомъ гг. казначеевъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ Редакціи „Вѣстника Иностранной Литературы“. Гостиный дворъ, Зеркальная линія, № 64, Магазинъ П. Ѳ. Пантелеева (противъ Пажескаго Корпуса), въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію журнала, С.-Петербургъ, Верейская улица, домъ № 15, собственный.

Редакторъ А. Н. Энгельгардтъ — Издатель Г. Ф. Пантелеевъ.


Дозв. ценз. Тифлисъ, 7-го Марта 1892 г. — სტამბა მ. შარაძისა. — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.